

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

1. შესაბამისი ფაკულტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და ადგენს დასკვნას/შედარების აქტს შესაბამისი კრედიტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ;
2. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა:

ა) მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

ბ) თუ ერთი და იგივე სასწავლო კურსისთვის მიმღები ფაკულტეტის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული განსხვავებული ECTS კრედიტი, აღიარება ხდება მიმღები ფაკულტეტის პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების შინაარსობრივი თავსებადობის გათვალისწინებით.

4. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით. თავისუფალი კრედიტების ზემოთ აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები აისახება დიპლომის დანართში.

5. იმ შემთხვევაში, თუ მობილობის მსურველმა პირმა სასწავლო უნივერსიტეტს წარუდგინა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ არის შესრულებული ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი დროებითი კომისია უფლებამოსილია მობილობის მსურველ პირს მოსთხოვოს ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი წარდგენა ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით და მოახდინოს გადაყვანა შემდეგი წესების დაცვით:

ა) თუ საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, ცალკეული სასწავლო კურსის საერთო რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი

კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 25-ზე: $60 \times 3 / 25 = 7,2$, დამრგვალებით შეესაბამება 7 კრედიტს;

ბ) თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული შეფასება შეესაბამება 5-ბალიან სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100 - ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით:

შეფასება 5 /ფრიადი/ პირობითად ჩაითვალოს – A 91 (ფრიადი) შეფასებად;

შეფასება 4 /კარგი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ – C 71 (კარგი) შეფასებად;

შეფასება 3 /დამაკმაყოფილებელი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ D 61 (დამაკმაყოფილებელი) შეფასებად;

გ) შეფასება „ჩათავალა“–ს გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: 5 ბალიანი შეფასების სისტემით გამოცდებზე მიღებული შეფასებების 100–ქულიანი შეფასების სისტემაზე მოდიფიცირების შედეგად მიღებული ქულების საერთო ჯამი (შეკრებილი ციფრი), იყოფა ამ სასწავლო დისციპლინების რაოდენობაზე და მიღებული ციფრი ჩაითვლება „ჩათვლით“ დამთავრებული სასწავლო კურსის შეფასების ეკვივალენტად; მაგ. $81(4)+91(5)+71(4)+71(4)+91(5)+81(4)=486/6=81$ (B).

6. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

7. პროგრამების თავსებადობა/შესაბამისობა ფორმდება შედარების აქტის/დასკვნის საფუძველზე გამოცემული რექტორის სამართლებრივი აქტით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა, და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია სტუდენტისათვის შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ჩარიცხვაზე თანხმობის ბრძანების საფუძველზე იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.